ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი 22 ნოემბერი 1989



თითქმის ხუმრობით

ალარაა მეტი ჩარა, —
რახან გულმა მომატყუა, —
უნდა ავიღო იჯარით
მილიონი კაცის ჯკუა!
მილიონს თუ ვერ ვიშოვი,
ნახევარზეც თანახმა ვარ,
არ დავმალავ, — სხვათა შორის,
დიდძალს ველი შემოსავალს!
ეს საქმე რაც დამიჯდება,
ამას, ალბათ, ძე მიხვდებით:
ჯკუას კოლოფი სჯირდება,
ბევრს კი — ჯკუის კოლოფები!
ჯკუა რომ დაჯდება ძვირი,
არავინ არ გაიკვირვოს,
მაგრამ თუ არაა ვირი,
მაინც უნდა შეიძინოს!
ნამეტს სახელმწიფო ფონდში
გადავრიცხავ უსათუოდ,
რადგან ამ ჩვენს მძიმე დროში
დეფიციტი არის ჯკუის!
ზეცასა და მიწას შუა
ლაილაი ისმის ბევრი,
ამიტომაც გვმართებს ჯკუა,
რომ არ გავახაროთ მტერი!
ალარაა მეტი ჩარა, —
რახან ყველამ მომატყუა, —
უნდა ავიღო იჯარით
წინაპართა დიდი ჯკუა!

ელდარ კერძევაძე

მესამე ხელი, ანუ აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პამფლეტი

ეს მესამე ხელი დიდი ხანია არ აღმომიჩენია. თურმე მქონდა, მაგრამ, როგორ ვთქვა, შრომაში დახმარება მისგან ნამდვილად არასდროს მიგრძნია!

ჩვენ ვიცით, ბუნებაში ხდება ათასნაირი სასწაულები: ოთხი ხელით, ოთხი ფეხით, ორი თავით იბადებიან ადამიანები!.. მე კი ჩვეულებრივად ორი ხელის და ერთი თავის პატრონი კაცი ვარ, მაგრამ ეჭვი გამიჩნდა და, როგორც თავში ვთქვი, სამი ხელის მფლობელი გავმხდარვარ! არ გეხუმრებით! აქ დაუჯერებელი არაფერია და ამიტომ ქუჩაში არავინ გამაჩეროს შეკითხვით: „ამხანაგო, სად არის თქვენს მიერ ნახსენები მესამე ხელი?!“ ნუ იქნება ასე სიტყვაზე გამოკიდება, თორემ მე მეტს ვიტყვი: კომუნიზმის გარიჟრაჟს ხედავდით?! მე კი, ვფიცავ, ნამდვილად არ მჯეროდა, რადგან გამომხმარი კუჭი დავლურს უვლიდა და რომელ კომუნიზმზე იყო ლაპარაკი?! და თუ ახლა იმ მესამე ხელზე ავლაპარაკდი, ვიცი, ჩემი არ არის და ვერც ვერავის დავაძალებ, დაინახეთ-მეთქი! როცა მე თვითონ ვერა ვხედავ, სხვა როგორ დავარწმუნო, მაგრამ მესამე ხელის ძალა ტყესავით ხშირი იყო დარბაზში და ამიტომაც ვირწმუნე! არ ვიცი, საკუთარ თავს წავეჩხუბო თუ ხელებს. ბოლოს და ბოლოს, მეც ორივე ხელი ჩავიქნიე, მაგრამ მესამე ხელი მაინც არ მომეშვა. ჩემს ხელებს ეუბნება: ვიყოთ სამივე ერთად, მე თქვენი უფროსი ძმა ვარო!

ის მესამე ხელი ჩემს ორივე ხელზე დიდია. მან იცის, როდის უნდა დაუკრას ტაში და სხვებიც აჰყვებიან. ტაშის დაკვრა იოლ საქმედ ჩანს დაყვირებასთან შედარებით. სიტყვების გარჩევა მიჭირს, მაგრამ ამას დიდ ყურადღებას არავინ აქცევს, ოღონდ ხმაური იყოს და არ მიეცეს არასასურველ დეპუტატს სიტყვის დამთავრების საშუალება!

რა კარგად იყო ძველად: დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდი! არა, ტაში მაშინაც იყო და უფრო მეტიც, მაგრამ გასარკვევი არაფერი გვქონდა, ჩვენს მაგივრად სხვები ფიქრობდნენ, ჩვენ კი მათ მაგივრად ვუკრავდით ტაშს! ახლა, დღევანდელ სიტუაციაში, თუ არ გაგარკვიეს, ვერ მიხვდები და ამიტომაც დეპუტატთა უმრავლესობას დაგვჭირდა მესამე ხელი!

კუკური კუკულაძე

ქ. ლანჩხუთი

ნახ. ბ. აბაზაძისა

თბილისური კოოპურატივების უპურატესობა.



ნახ. ჯ. ლოლუასი

განცხადებები

შაბათს, 29 ნოემბერს, 18 საათზე კულტურის სახლში ჩატარდება საზოგადოება „მ ე გ ო ბ რ ო ბ ი ს“ დამფუძნებელი კრება.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **საზოგადოების წესდებისა და პროგრამის პროექტის დამტკიცება.**
2. **საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა არჩევნები.**
3. **საზოგადოების დაშლა.**

22 ნ ო ე მ ბ ე რ ს სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა ქ. თბილისში მცხოვრები 22 წლის **ზინა კვირიკეს ასული ჩქარეული.** იგი არის 172 სმ. სიმაღლის, გამხდარი, ქერა, ცისფერი თვალებით, ოდნავ კეხიანი ცხვირით. აცვია ცისფერი პერანგი და ღია ვარდისფერი მოკლე ქვედა კაბა. კისერზე, მარჯვენა მხარეს, აქვს პატარა ხალი. ატარებს ლურჯი ფერის ტყავის ხელჩანთას.

თუ რამეს შეიტყობთ მასზე, გთხოვთ დარეკოთ 7-34-91-ზე!

მოქალაქე **ზ. ჩქარეული** სხვა დროსაც რამდენჯერმე გასულა ასე სახლიდან!..

დედაქალაქში, რ ი ყ ი ს ქუჩაზე, გაიხსნა კოოპერატივი „თ ა მ ა დ ა“. მსურველებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს, ლხინის სუფრა იქნება ეს თუ ჭირის, გამოიძახონ მაღალკვალიფიციური თამადა, საჭიროებისამებრ — მოადგილით ან მოადგილეებითურთ!

ტრადიციული სადღეგრძელოს ფასია 18 მან. და 26 კაპ., ხოლო თავისუფალისა — 24 მან. და 72 კაპ.

სადღეგრძელოთა რაოდენობაზე წინასწარ გაფორმდება ხელშეკრულება (გარდა დაბრუნებითი ქორწილისა).

აქვე შეგიძლიათ შეუკვეთოთ განსხვავებული სასმისები.

შეკვეთები მიიღება ყოველდღე, 8-დან 20 საათამდე. შესვენება 2-დან 3-მდე.

მობრძანდით, გელით!

ნომადი ბართაია

მოღალატე

ვინაც დღეს გულში ჩუმად ქირქილებს
და ჩვენს მომავალს ამრეზით უმზერს,
ვინც ულირსთათვის წნავდა გვირგვინებს,
ვინაც სინდისი გაყიდა ფულზე,
ვინაც ფულებით იყიდა სკამი,
სავარძელი და მაღალი პოსტი,
ვინაც ხალხისთვის არ ფიქრობს წამით
და გასამრჯელო პაკეტით მოსდის,
ვისაც კვლავ დიდი პოსტი უჭირავს
და იმ ადგილის არ არის ღირსი,
ვინაც აცხოვრა ხალხი დუხჭირად,
არ აწუხებდა ტკივილი სხვისი,
ვინაც ფულებში ახლაც იხრჩობა,
ვერ მოაშორეს იმ რბილ სავარძელს,
ვისაც უქებენ კაიბიჭობას
(ლამის ქებისგან ცაში ავარდეს!),
ვის შინ და გარეთ თან ჰყავს მოახლე
დიდი ფულის და სავარძლის პატრონს,
ვისაც აშინებს დროის სიახლე
და კვლავ ძველებურ ცხოვრებას ნატრობს,
ვინაც გაყიდა ტყე და ბილიკი,
ქართული ბაღი და აგარაკი,
თანაც ზემოდან დაგვცქერს ქილიკით,
ცხოვრება მისთვის არის არაკი,
ვისაც სიცილად არ ვყოფნით ამ დროს,
ძველი იერი სულ არ შეცვლია,
დიდი ადგილის და მადის პატრონს
ვისაც არგუნეს დიდი პენსია,
ვინაც წაართვა სხვებს ყველაფერი
და შინ წაიღო ლამის უკლებლად,
ვინაც არ დარდობს მომავალს ერის,
მის დაღუპვას თუ თავისუფლებას,
ვინც დასცინოდა მამულზე მლოცველს,
ერის ღირსება შებილწა მტვერით,
ანგარებისთვის გააგდო მოძმე
და მის ადგილზე მიიღო მტერი,
ვინაც მზად არის ფეხქვეშ გათელოს
ხალხის მიზანი — ნათელი მზისებრ,
ვისაც არ სჯერა, რომ საქართველო
თავისუფალი იქნება ისევ,
ვინაც იხელთა დრო წუთისოფლის
და დაიმკვიდრა სახელი მოძლვრის,
ვისაც არასდროს უღვრია ოფლი
(სისხლი კი ღვარა მოყვრის და მოძმის!..),
ვინაც მამულზე სუფრასთან მღერის
გულშხამიანი, პირმომცინარი,
ჯიშით ქართველი, ქართველთა მტერი
და მოღალატე, აი, ვინ არის!

ვანო ცინცაძე

მაგალითად... ანუ რა არის მაგალითად?!

იუმორესკა

— მაგალითად, რას კირკიმალობ შენ?! — მითხრა სოლომონიჩმა, — ჰოდა, ზომიერებას თუ არ მოუხმობ მაგალითად, სამაგალითოდ და უმაგალითოდ გამოგიცხადებ... მეოთხე საყვედურს!

— თქვენ, მაგალითად, — ვთქვი მე, — სამაგალითო ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ტენდენციური! ამდენად, პლეონაზმის მიზეზებში რომ გაერკვეთ, უპრიანია!..

— რა დროს პრიანიკებია?! — თქვა მან, — მაგალითად, როდის დაამაგალითებ რეფერატის შესავალს?! მაინც საიდან მოიჭანე ეს პ რ ი...

— ა ნ ი კ ი კი არა, უპრიანი! — ვთქვი მე. — ეს, მაგალითად, ნიშნავს იმას, რაც სამაგალითოდ საჩქაროა, ანუ სხვანაირად — საშური! ხომ გამიგეთ, სოლომონიჩ?!

— ვერაფერს ჩავწვდი! — თქვა მან, — რამდენადაც თავს ვერ უყრი სამაგალითო მაგალითებს!

— მესმის, ბატონო, — ვთქვი მე, — ტრიფონისგან გადმოვიღებ მაგალითს და სამაგალითოდ დავამაგალითებ დაუმაგალითებელ მაგალითთა მაგალითებს!

— მაგალითად, სამაგალითოდ და კიდევ უფრო სამ... მაგალითოდ, — თქვა მან, ამიერიდან, სტილი თუ არ შეცვალე, აღარ წავიკითხავ შენს ქაღალდებს, რომლებშიც ჩამაგალითებული აღმოჩნდება მაგალითები! იცი, რას ნიშნავს ეს?! იმას, რომ ამიერიდან მაგალითების გარეშე ჩააჭიკჭიკებ უმაგალითო მაგალითებს!

— ეს როგორ?! — ვთქვი მე, — ორივე შემთხვევაში ერთდროულად უმაგალითოდ და სამაგალითოდაც?! სამაგალითოდ და უმაგალითოდ... ამუ... ამუ.... სამ... უჰ!..

— დიახ, თქვა მან, — სწორედ ასეთ კონტექსტებში, — მაშასადამე, შენთვის ამიერიდან აღარ არსებობს სიტყვა მ ა გ ა ლ ი თ ა დ: მე ფილოსოფიური კატეგორიები, კვინტესენციები თუ დასკვნები მჭირდება და არა მაგალითები!.. ჰოდა, ამ მინუთში კაბინეტს მიაშურებ, კარს ჩარაზავ, მიუჯდები მაგიდას, ხუთწლიანი პერიოდის შესაბამისად მოიმარჯვებ ოქმების, იქნებ სხვა წერილობითი დოკუმენტების ამონაჭრებსაც და დააფიქსირებ იმას, ამ ხნის განმავლობაში რამდენი მაგალითით დამაგალითდა დასამაგალითებელი მაგალითები!

დავალების შესასრულებლად სასწრაფოდ გავიჭერ, მაგრამ ოთახში ვერ ჩავირაზე: სამაგალითოდ კარი კი არა, უმაგალითო ფანჯარაც არა აქვს!.. და მე საწყლად შევები მაგალითების ოკეანეს!.. იმდენ მაგალითსაც წავაწყდი, უმაგალითოდ დავიქანცე. მაგალითები — მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ, აღმა და დაღმა, წაღმა და უკუღმა, აქეთ და იქით, იქით და აქეთ!..

ამ ორომტრიალში გული ცუდად გამიხდა და ხელი ვტაცე მაგიდაზე სამაგალითოდ დასვენებულ ტელეფონს, უმაგალითოდ რომაა დანჯღრეული, სამაგალითო ციფრებიც ავკრიფე და სამაგალითოდ ლამაზი ტემბრის ხმამ ერთგვარი შვება მომანიჭა:

— მაგალითად, რა ხდება?! — ჩამესმა ყურმილში, — რა აწუხებს ავადმყოფს?!

— სწორედ მაგალითი, — ვთქვი მე, — მისი მდგომარეობა უმაგალითოდ საშურია!..

— უი, უი, უი! — თქვა მან. — რომელი საშა ცუდად?.. ის ხომ არა, სამაგალითო მაგალითების კვლევითს ინსტიტუტში რომ იღვწის და ასეთ საკანდიდატო თემას წერს: „იხვები და ბატები არიან თუ არა წყლის მოყვარული ფრინველნი?!"

— დიახ, დიახ, — ვთქვი მე, თქვენ საიდან იცით ეს ამბავი?! იქნებ უშველოთ რამე, თორემ მაგალითები ტვინში აუვარდა! ბრიგადის მოსვლამდე როგორ მოვიქცე?!

— პირველ რიგში, — თქვა მან, — სუფთა ჰაერზე გაიყვანეთ! ჰკითხეთ, ჭინკები ხომ არ ელანდება?!

— მერე?! — ვთქვი მე.

— თუ გარკვეულ პასუხს ვერ მიიღებთ, — თქვა მან, — აუხსენით, რომ თეთრხალათიანებმა, შესაძლებელია, ამ შემთხვევაში სამაგალითოდ შერჩეულ შპრიცებს მიმართონ და უმაგალითო ზომებსაც — ინექციების კეთების საქმის დასამაგალითებლად! გაიგეთ?!

— მე კი გავიგე, — ავყვირდი მე, — მაგრამ სოლომონიჩმა დამაკისრა, რომ საშუ... საშურრრ... საშური კი არა, უპრრრ... უპრიანი კი არა!..

— რაებს ბოდავ, კაცო?! — სიზმრიდან გამომიყვანა მეუღლემ, — ვის უხმობ?! აქეთ, საშა, საშაო, იქით ნატაშაო! მე შენ გიჩვენებ ნატოს! ელიზაბეტი არ გინდა?!

— მაგალითად, — ვთქვი მე, — რატომ მაყენებ ესოდენ უმაგალითო შეურაცხყოფას მე, პურიტან კაცს?!. სოლომონიჩის ბრალია ყველაფერი, სული ამომხადა, მაგალითების ჭაჭანება არ დამანახოო!..

— მერე, — თქვა ტურფამ, — შენც გაჩუმდი! მართლაც, რა ჭირად გინდა ვიღაც ელიზაბეტი?!. უი, შემეშალა... ელიზაბეტი კი არა, მაგალითები. უმაგალითოდ უფრო ადვილი არ არის ცხოვრება?!

და მეც ბრწყინვალე იდეა მომივიდა თავში: მაგალითების ნაცვლად სრულებით ახლებურ კონტექსტზე გადასვლა. მაგალითად, რით არის ერთსიტყვიან „მ ა გ ა ლ ი თ ზ ე" ნაკლები სამსიტყვიანი „ც ე კ ვ ა-თ ა მ ა შ ი ს ს ა ქ მ ე" და თუ არის, „ძ ი ლ ი ს ს ა ქ მ ე ს" ხომ წყალი არ გაუვა, ან კიდევ „ჭ ა მ ა-ს მ ი ს" საქმეს?!.

მეუღლესაც ვუთხარი, ძილის საქმეში ხელს ნუ მიშლი-მეთქი და სამაგალითო ძილის საქმეც მშვიდად განვაგრძე, რადგან მეორე დღეს განყოფილების თანამშრომელნი თავად მყავდა სამაგალითოდ დასასაქმებელნი.

ცემა კოცნისა წილ!..

ცილი რა არ დაგწამეს,
სამართალი არ არის?! —
ჩვენი მიწა ყოფილა
სპარსელის და თათარის!..
მათი სახეც გამოჩნდა
თანამოძმის ნიღბიდან,
სხვის მზეს რომ იფიცებენ
დიდი ზურგის მიღმიდან!..
ტყვიას ისე გვესვრიან,
ვით ლაჩართა წესია! —
ჯალათების ჯარი და
ხროვა შემოგვესია!..
ჯაშუშობით, სიბილწით,
უხამსობის ძახილით
მერმე ტყვია გვესროლეს,
ზურგში ჩაგვცეს მახვილი!..

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რამდენს უნდა კვნესოდე,
კენტად მიტოვებულო,
დაქანცულო ესოდენ?!
სიკეთის და სითბოსი
სავანე ხარ ნათელი,
რაინდი და შემნდობიც
მიტომ არის ქართველი!
შუა გაჩნდა უფსკრული!..
საქართველო ერთია!
სიმაღლის და სიმდაბლის
განმკითხავი ღმერთია!
ჰოდა, ვინაც გაბედა,
რას ფიქრობდა, ნეტავი?!
დაგვგესლა და დაგვკორტნა!..
იყო რკინის მკვნეტავი?!
როგორ უნდა იარონ
შერცხვენილი სახელით,
ცოდვით მარადიულით,
გამყიდველთა სამხილით?!
სიძულვილი ასეთი —
გამტანობის პასუხად?!
რისხვას მართლმსაჯულების
ვერა, ვერსად წაუხვალთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

/ქ. ბათუმი/

პარდონ მაესტრო!

... და ტყემ ისე მოიწყინა, კვნესის გოდებ-გოდებით! —
ყველამ როგორ იგალობოს ერთნაირი ნოტებით?!

აბა, ისე ვინ იმღერებს, ვით პაწია ბულბული?! —
მაშინ უნდა დადუმდეს ქვეყნად ყველა სულდგმული!

ზოილი კი ამას ითხოვს, სმენასთან რომ მწყრალად დგას
და მზად არის მბრძანებელი, ყვავს გვირგვინი დაადგას!

სხვას გაუგებს განა ყვავი?! — მქირდავი და ბეცია!..
მას არ სურდა, ფრინველთ გუნდი ხროვად გადაექცია?!

სოლისტობა აიჩემა, დირიჟორიც ის არის,
ფალშიაო, — სულ იძახის, — სხვისი ნაცოდვილარი!

ფეხბურდლები კი არადა, ხატოვნების ღმერთებიც
სულ არ მოსწონს მაესტროს, განა — ზოგიერთები?!

ბელინი და როსინი, ვერდი, გუნო, შოპენი,
ბეთჰოვენი, ბოროდინი, რემბრანდტი და გოგენი,

ჩოსერი და შექსპირი, რუბენსი და დიკენსი,
ბაირონი, ჰაინე, ჰიუგო და ჩივერსი,

ბახი, გალაკტიონი, სერვანტესი, შილერი,
ნოპასანი, ჩელინი, მერიმე და გლიერი...

თუ რა დღეში ვიმყოფებით, ალბათ, არის ნათელი:
მზისებრ გაჩახჩახდება ერთი ციცქნა სანთელი?!

მეც არ მომწონს მაესტრო განა ფერით შავითა, —
შავი გულით მაოგნებს ახირებით ავითა, —

როჭ ზევსია სიმღერის! ო, წმინდაო მარიამ!
ყურთასმენა წაიღო ამ სოლისტის არიამ!..

ნოქტიურნებს თხზავს და თხზავს, შეკვრად დიდზე დიდია,
რომ არავინ ასრულებს, ეს ფეხებზე ჰკიდია!..

სამართალიც ის არის, ახტეხია ქავილი,
თვითონ უქცევს ჩვენსამებრ, აკრთობს ჩვენივ ჩხავილი!..

თუ გაგვფანტა გუნდიდან, სცენაც დარჩა მაესტროს,
ჰქუას მაინც მოუხმოს, დიდებას არ დაეთროს!

ყვავი მაინც ყვავია, ვერ გავხეხავთ ქვიშითა,
სხვების ხმებს რომ იწუნებს, მას რა მოსდგამს ჯიშითა?!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

უნდა მოეწყოს გარაჟები კერძო მანქანებისათვის, რათა ეზოები და ქუჩები არ წარმოადგენდნენ ავტოსადგომებს. უდიდესი დანაშაულია ის ფაქტი, რომ თბილისელ ბავშვებს წაართვეს ეზოები.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა

— ბავშვებო, კლასობანა, სკოლაში წადით და იქ ითამაშეთ!

ნახ. ჯ. ლოლუასი

გადაგზავნის დაყოვნებით ესევიან ყვავ-ყორნები!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲪᲜᲝᲑᲐ ახალი საზოგადოების შექმნის შესახებ ფართო მასების გაზეთის საშუალებით გადაეცოთ: „იქმნება ახალი საზოგადოება „პატიოსნება“, რომელიც თავის რიგებში იზიდავს და აერთიანებს მოსახლეობის ყველა პატიოსან წარმომადგენელს. მიღება — ნებისტრვიღური, შემოწმება — ფუნდამენტური, დაფიცება — ჯვაროსნული.

მისამართი: შიმშილაშვილის ქ. № 12, ტელეფონი — 18-00-88“.

ერთი კვირა არავინ გაგვკარებია. გაგვეგობის წვერები დაბუთულ ოთახში ვისხედით კოიკეშაკრულნი და ამაოდ ველოდით პირველ მერცხლებს. ღვთის წინაშე უნდა ითქვას, ხუთითოდ სხვადასხვა ასაკის უცნობებს ფანჯრიდან შევასწარით თვალი: მოვიდოდნენ, ეჩვიანად გაიხედგამოიხედვდნენ, კარების საკეტის ჭუჭრუტანიდან შემოიხედვდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ!..

მერვე დღეს, ზუსტად 12 საათზე, ვიღაც ჭაღარა, შუახანს გადაცილებული, მამაკაცმა შემოაღო კარები, ქუდი მოიხადა, ჭრელი ცხვირსახოცი შეალო თავზე გადაისვა და ოთახიანად გადმოგვძახა:

— სამპროლეს და პატიოსნებას შევალეო მთელი ჩემი სიცოცხლე, სამ კილომეტრ სისხლი დაღვარე, ხუთ ლატრამდე — ოფლი და შვილ ლატრამდე — ცრემლი!..

— ეგ ყველაფერი მაღაზიისა თუ აფთიაქის სასწორითა გაქვთ აწონილი? — კითხვა შეაგება ჩვენმა ახალგაზრდა მდივანმა და, როცა ჩვენს უკმაყოფილო მზერას შეასწრო თვალი, ენა ჩაყლაპა!..

— მაგას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა! პატიოსნებისათვის ათჯერ შომჩსნეს სამსახურიდან, რვაჯერ ამხანაგური სასამართლო მომიწყვეს, ორჯერ წვრილმანი ხულიგნობისათვის გამასამართლეს!..

— რა სპეციალობისა ბრძანდებიან?

— ბუღალტერი გახლავართ! ჩემისთანა დიპლომირებული მუშაკი ალბათ არც იქნება მთელ ქალაქში! ოცდათვერვ კვალიფიკაციის ასამდილები კურსები მაქვს დამთავრებული, თხუთმეტჯერ — სამოქალაქო თავდაცვის, შვიდჯერ — წყალში დამხრჩვალთა დახმარებისა და ხუთჯერაც — ლოთობისადმი მებრძოლისა!..

— უკეთეს განსწავლულობას ვერ ინატრებს კაცი შვილი! — ჩაურთო ისევ ჩვენმა მდივანმა.

— ის უპატიოსნები მე, პატიოსანს, სხვას რომ ვერაფერს მიხერხებდნენ, წელზედნი ორჯერ აურსებზე მაგზავნიდნენ!...

— და თქვენც თანმხმდომდით?..

— რა მენაღვლებოდა?! პირველ ორ დღეს ვცხადდებოდი და მერე, სწავლების მთელ პერიოდში, ზამთრის ფეტკარივით სახლში ვფუსფუსებდი.

— რას გერჩოდნენ, რა უნდოდათ თქვენგან?! — შეეკითხე წვერობის მოსურნეს და თვალებში შეეაცქერდი.

— იმათ კი არა, მე მინდოდა, პატონო, მე!.. თვითონ რომ ხვეტავდნენ და ჯიბეს ისკვლებდნენ, მე რა, კუჭი არ მაქვს?! ისინი რომ მთელი ხმით „ვარხალალეს“ გაპყვირდნენ, მე რა, ყრინთ მაინც არ უნდა მეგმღერა?!

— გასაგებია, გასაგებია!.. თქვენ ბრძანეთ, რომ კვალიფიკაციის კურსებზე მხოლოდ ოთხ დღე ცხადდებოდით! მერე, დამთავრებისას, რა ხდებოდა?!..

— მერე, პატონო, ჯიბეზე ხელს გავისვამდი და გათავებული იყო საქმე!..

— ესე იგი, ჭრთამს აძლევდით, არა?!

— აბა, ისე დამთავრების მოწმობას ვინ მომცემდა?!..

— აბა, დღესავით ნათელია ყველაფერი! ის, ვინც ქრთამის მიცემაში თუნდაც ერთხელ წაიწყმედა სული, საზოგადოების წევრად არ მიიღება!..

— როგორ თუ არ მიიღება?! თვალში არ მოგეწონეთ, არა?! ასეც ვიცოდი! ფფული გინდათ, ფფული, ძამიკოებო, არა?! კაბიკის მომცემი არა ვარ!..

— წაბრძანდით ახლა, წაბრძანდით!

— არ წავალ! აქ უნდა დავკვდე

სანდაკვალება „ნაგრილების“ დასასრულ

ნოველა

— გისმენთ, გისმენთ!..

— გეგზავნით სპეციალს დახასიათებასთან ერთად, რომელსაც ხელს აწერს �ი და დედამიწა, უფროსი და უმცროსი!..

— თქვენი ჩამოსვლა საჭირო!..

— ყური დამიდგეთ! ეკითხეთ ლობ ნაწყვეტს: „ცხოვრება სანდალიაშვილი არის ტურდღელავით პატიოსანი, ფუტკარივით პროდუქტიული, ბალეშვილასავით მშრომელი და პეპელასავით ფაქიზი...“

— კარგია, კარგი, ჩამოდით და ჩამოიტანეთ!..

— ჩამოვალ!..

— რატომ?!

— არ მიშვებენ!..

— როგორ თუ არ გიშვებენ?! სადა ხართ?!

— შრომითი გასწორების კოლონიაში!..

— ჰოო!.. როცა გამოგიშვებენ, მაშინ ჩამოდიხარ!..

საღამოს ხანს ახალ კოსტიუმში დენდივით გამოწყობილი კაცი ვამოგვეცხადა, სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— მე ეკონომ „ხენა-თესესას“ შეევალე ბ ჩემი ჯანმრთელობა, ისევ პატიოსნებით ვიმეშვავე, რომ, მე მგონი, შემოწმება არც დამეჭირდებაა!..

— არა, შემოწმება აუცილებელია!.. — ქრთამი ან სხვა რამ ეშმაკეული თქვენ, რა თქმა უნდა, არ შეგაცდენდათ?!

— როგორ გეკადრებათ!..

— ახლა ეს მიბრძანეთ, მიგლინებაში თუ გიხდებოდათ ყოფნა?

— როგორ არა, მთელი ქვეყანა მაქვს მოვლილი!..

— რაიონში ჩასულისას პასუხისმგებელ მუშაკებს თუ გაუმარიავთ თქვენთვის წვეულება ანდა პიკნიკი?

— როგორ არა, მაგრამ ეგ ხომ ქრთამში არ ჩაითვლება?

— თქვენ თუ გგონიათ, ხელმძღვანელ ამხანაგებს საკუთარი ბეღლიდან, მარნიდან და მაცივრიდან მოაქონდათ პასტუმრა, ჩალაოჯი, ოეგზეული და ლინინათვის საჭირო სხვა სუფსა-სანონავგი, ძალიან ზემეცდარხარო! ეს იმ მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დოვლათიდან იხარჯებოდა, რომელსაც თქვენ მერე ეტბით ძრის ადგებინებდით და რომელიც ახლა ყუაზეა მისული!..

— ???

— ამიტომაც საზოგადოება „პატიოსნების“ წევრად ვერ გამოდგებით!..

სამი დღის განმავლობაში ათიოდე კანდიდატი კიდევ შევაფმოწმეთ. ერთს მართლაც პატიოსნად გავევლო ცხოვრება, მაგრამ ბოლოს დირექტორისათვის ბიცა პენსიის მომატებისათვის ქრთამი, მეორეს უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარებისას შეხვედროდა ვიღაც აფარიტი და წაწყმედილიყო, მესამე სამაგმდე ბალი ზეიერს მოწყობისას ჩაეფინა ცოდვა; მეოთხეს თბილისში ჩაწერისათვის შეებღალა სინდისი, მეხუთეს გადდაცალეტეტ [illegible] ვისათვის შეეკა ვიღაც მოხელისათვის ტოტა [illegible] ერთი სიტყვით, ვერც ერთმა ვერ დაამაყოფილა საზოგადოება „პატიოსნების“ მიერ დაწესებული მოთხოვნილებას!..

ასეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში რომ ვიყავით, ვიღაც წვერმოშვებული, ბუჯინის, დევის ილაგარის, შავგვრემანი მამაკაცი შემოვარდა ოთახში, არც სალამი უოქვამს, არც ქალაქი, შუა ოთახში გაჩერდა, აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, დინჯი შემოიყარა და როკაინ ხმით დაიწყო:

— პატიოსან წვერებს რომ ეძებენ, თქვენ თუ ხართ პატიოსნები?!

კითხეა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ სიტყვა ვერ დავაფიქრეთ.

— როგორი პატიოსნებიც თქვენ ბრძანდებით, კარგად ვიცი! ხელფასზე ცხოვრობდით, არა?! ისეც რა გითხრათ! მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნებით თუ უნებლიეთ, თქვენ თუ თქვენი მშობლები სხვა შემოსავლის ძებნაში იყავით გართული და ახლა მოგგაგონდათ პატიოსნება?! ოცდათვენეს ლეტი გამმავლობაში სახელმწიფო თქვენ გატაკუეებდათ და თქვენ კი — სახელმწიფოს! ურთიერთშეჯიბრებაში ისე გამოიჯეკეკეთ ორივენი, რომ, როგორ შეიძლებოდა, პატიოსნები დარჩენილიყავით?! მორჩით ახლა ამიერიდან წყლის ნაყვის და თუ ძალიან შეგინდათ პატიოსნების ბრწყინვა, სანამ კიდევ დროა, სამაგმო ბალებში წადით და იქ ჩამოაყალიბეთ პატიოსნების საზოგადოებები! ახლა კი ინბარგეთ აქედან, თორემ ამ სკამებს თავზე ჩამოგამბობთ!..

დანაჭადნი ისეთი დაბეჯითებით იყო ნათქვამი, რომ ეუნის შეტანა ზედმეტად მიეჩინეთ. გარეთ გამოვედით და „ოთახს კლტე დავადეთ!.. სამაგმო ბალებში არ მიგსულვართ, ჯერაც ვერ გადაგვიწყვეტია, მივიდეთ თუ არა!..

— რა ემართება ამ კაცს?!
— სიმართლე თქვა, ქვა აუგდო და თავი შეუშვირა!..

ილუსტრაციები ბ. ლომბიძისა

...

* * *

ავადმყოფს წულულზე რაღაცა
დაადვეს ჰაიბარად.
თან სასწრაფოში დარეკეს:
„გვიშველეთ! ჩქარა! ჩქარა!“
დაღამდა!..
როგორც წესი,
სასწრაფომ არ იჩქარა!
თუმცაღა ჰირისუფალი
არ იყო მეტიჩარა,
რომ დაინახა, არ იყო
მეტი გზა, მეტი ჩარა,
სასწრაფო ახლა მეორედ
სასწრაფოდ დაიბარა!
მოვიდა მაინც? — არა!
უძრავად იწვა ბედკრული,
ბედშავი ავადმყოფი,
კრიჭაშეკრული,
„პირამოკერილი“, უგონო!..
და სანამ სასწრაფო მოვიდა, —
მეხუთედ გამოწერილი,—
იმ ავადმყოფმა წაიღო
საიქიოში წერილი!..

* * *

ღრუბლებმა
მზე არ ამოუშვეს
ამ დილით ცაზე,
შუაღამისას დაწყებული
გრძელდება წვიმა!..
სისველისაგან იგრიხება
პარკეტი ნაზი
და გაბზარულ ჭერს
ძველებურად
„ცრემლები სცვივა“.
ვხედავ მეზობლის სახლის თავზე
დამტვრეულ კრამიტს,
ვხედავ, ტაშტებში თქარათქური
გაუდის წვიმას!..
ვხედავ, ოთახში ქალი დარბის
ხოველი კაბით,
ვხედავ,
ბავშვები ატუზულან
მაგიდის ძირას!
წვიმს!.

ყველაფერი, ყველაფერი
სველდება: თვალწინ,
გაბზარულ ჭერში ეცემიან
წვეთები მწკრივად,
ბინა სველდება,
კუთხე-კუნჭულს
უღმერთოდ აწვიმს,
შესახლებიდან დღემდე გასდის
სახურავს წვიმა!..
თუ აღარ ახსოვთ,
შევახსენებ,
იქნება ღირდეს,
და რამდენჯერაც ჩემს ბინაში
თოვდეს და წვიმდეს,
ვისაც ეკუთვნის,
გავუგზავნი გინებას იმდენს!

მუიდველ-გამუიდველი

— მოგწონს?
პასუხი არაა!
დახლთანა ვდგავართ,
წვიმს!..
— არა,
იქნება არ მოგწონს?..
კი ნუ გრცხვენია,
თქვი!..
ლაპარაკია ტუფლებზე
(როგორც აღვნიშნეთ,
წვიმს!..)
ტუფლი კი,
მოგეხსენებათ,
კარგია, როცა წვიმს!
— მოგწონს?!
ჰა!.
(ისევ დუმილი.
ჩაცმასაც აღარ მაცლის).
ვიცვამ, გავდივარ გარეთ და
წვიმა ტუფლს ლანჩას
აცლის!

საგაზაფხულო

ქართლო,
გახედე ქსანს!
გახედე ვერეს, მტკვარს,
სიბინძურისგან ყარს,
მატლი ესევა გარს!..
ვერც ვეღარავინ სვამს,
ვერც ვინმე იბანს ტანს,
ვინც ამ წყლებითა რწყავს.
ნაყოფად იწევს შხამს!
როდემდე გავდგეთ განს?!
ვითმინოთ რამდენ ხანს?!

* * *

აცივდა.
უკვე აცივდა,
მთელი ქალაქი ცახცახებს,
ჩვენთვის კი მაინც
არ სცხელათ,
გათბობის ქსელის
თავკაცებს,
მზე ღრუბლის მონა
გამხდარა,
ანათებს,
ველარც ანათებს,
ხალხი ფეხებზე ჰკიდია,
ურცხვ« რომ „მოიკალათებს“!

ვირბინოთ!.. ვირბინოთ!..

ნიავო,
რა დროის ხეებთან კამათია,
ორ დღეში რვა მარტია!
მეუღლემ ოხვრით და
ტირილით გაათია,
რადგან ვერ მიიღო
საჩუქრის გარანტია!
მეუღლის ცრემლი თუ
„ყვითელი ბარათია“,
სიდედრის მუქარა
დღეს ჩემთვის შამათია.
უყურადღებობა განა მაპატია?
ყვავილის ლარნაკი
თავზე დამამტვრია!..
გახედე!
გახედე!
რა კარგი ველია!..
სახლში არც ხორცია
და აღარც ყველია!
ვირბინოთ! ვეძებოთ!
სირბილი მხსნელია!
ოჯახში ქალები
საჩუქრებს ელიან!
სირცხვილით, სირბილით
პერანგი სველია!
ხელფასზე ცხოვრება,
ო, რარიგ ძნელია!

ნიკოლოზ იოსებიძე

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ბედის ყვავილი

იუმორესკა

პროფესორ ლ ე ნ ტ ო რ ლარიბაშვილს ორეული რომ ჰყავდა, მან ამის შესახებ, მიუხედავად დიდი განსწავლულობისა და თანდაყოლილი ინტუიციისა, არაფერი იცოდა.

პროფესორის ორეული ქუსა ქუსლიკბენიაშვილი მცირე ყალიბის თაღლითი იყო და წვრილმანი აფიორებით გადიოდა ფონს, ხელეწიფებოდა საბუთების გადაკეთება, ყალბი პირადობის მოწმობის, საშვისა თუ დიპლომის გაიმასქნება, შინაგანად კი უფრო დიდი მასშტაბის აფიორისათვის ამზადებდა თავს. იმ სტადიაში იყო, რასაც შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ასაკს ეძახიან. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა აკლდა, რომ მისი ტალანტი ვნების ყვავილივით გადაშლილიყო.

შემთხვევამაც არ დააყოვნა: პროფესორ ლარიბაშვილის სურათი რომელიღაცა არანაკლებ ბედნიერი შემთხვევის გამო გაზეთის პირველ გვერდზე დასტამბეს.

ქუსას მისი დანახვისთანავე აუცუნცრუკდა აფიორის მუზა. მან დაწვრილებით მოიკვლია ლენტორის წარმომავლობა, ნათესავთა წრე, შეისწავლა მისი ბიოგრაფია.

ქუსაც ლენტორივით ჭაღარა იყო, ბატივით თეთრი და მაღალკისერა, ოღონდ ცოდნითა და გამოცდილებით ბევრ ბატს ჩამოიტოვებდა უკან.

ლენტორი ავადმყოფი კაცი იყო, სამსახურში მანქანით მიჰყავდათ, მაგრამ ვიდრე ლიფტში შევიდოდა, გულის გასამაგრებლად იქვე პატარა სკვერში უყვარდა ჯდომა, თუმცა მოახლოებული მისაღები გამოცდები ამ მცირე განცხრომაზეც აალებინებდა ხოლმე ხელს — ხალხს ემალებოდა!

წელსაც ასე მოხდა, ლენტორის თვალის დამკვრელი არავინ იყო.

ქუსა ქუსლიკბენიაშვილმა თავისი იშვიათი ალღოთი იგრძნო, რომ სამოქმედო დრო დაუდგა. სკვერში შევიდა და ჰაერი დაყნოსა, ფულის სუნი ხომ არ ტრიალებსო, მერე ლენტორისეული მანერით თეთრ წვერში ხელი შეიცურა და აკადემიურ პოზაში გაიყინა, აქაოდა, ფიქრებში ვარ წასულიო.

— ბატონო ლენტორ! — მოესმა ცოტა ხნის შემდეგ ქალის სასიამოვნო ხმა, — ხუთ წუთს წაგართმევთ, მეტს არა! — გვერდით მიუჯდა და ჩურჩულზე გადავიდა.

— მათემატიკა სახუმარო საქმე არ გახლავთ!.. — ჩაიდუდუნა.

— ვიცით, ბატონო, რა რა ღირს, მთვარიდან კი არ ვართ ჩამოფრენილი?!

ეს იყო პირველი მერცხალი, მერე კი...

სამუშაო საათების შემდეგ სკვერში იმ სკამს, სადაც ქუსა ქუსლიკბენიაშვილი იჯდა, საეჭვოდ თავდახრილი კლიენტები უახლოვდებოდნენ, ოღონდ სათითაოდ, ერთმანეთისგან დაშორებულები საამო ინტერვალით. მათი საუბრის მხოლოდ ნაწყვეტებს თუ გაიგონებდა დაფაციცებული ყური:

— ჩახველება უკვე გაყიდულია ქალბატონო!..

— ლოყის მოფხანაც და ყურის გამოჩიჩქნაც ეს არი წაიღეს!..

— თვალის ჩაპაჭუნებაც და ტუჩების მოლოკვაც!.. ცხვირის ჩიჩქნა უზრდელობად ითვლება!.. ვაითუ, სულ გამოაძევონ გამოცდიდან?!.

— რა მეშველება?! — ქალმა ლოყაზე შემოიწნა გრძელთითება ხელი.

— კეფის მოფხანა დამრჩა!..

— კეფა ნამეტანი შორია, რომ ვერ მიაგნოს ბავშვმა და სხვა რამეზე დეიდოს ხელი?!

— სხვა ვერაფრით დაგეხმარებით!..

— რა გაეწყობა!.. იყოს, ბატონო, კეფის მოფხანა!..

* * *

...პროფესორი ლენტორ ლარიბაშვილი ჩვეულებრივზე ადრე გამოცხადდა სამსახურში, საგამოცდო დარბაზში უკანა კარით ავიდა, გამოცდაც ჩვეულებრივად დაამთავრა, მაგრამ გამოცდის მომდევნო დღეს შეემთხვა უცნაური ამბავი, უფრო ზუსტად, საღამოს, როცა სიები გამოაკრეს.

ბატონი ლენტორი ვალმოხდილად თვლიდა თავს და სანამ შინ წავიდოდა, ცოტა წაინებივრა — თავის საყვარელ სკვერში შეიარა.

მისი გამოჩენა იყო და — ყოველის მხრიდან მუშტების ქნევით შემოეხვივნენ მას გაკაპასებული ქალები.

— მაგ თეთრი წვერისა მაინც ალარ გრცხვენია?! — წაუსისინა ერთმა.

— ახლავე დაყაჭე ჩახველების ფული, თორემ მილიციას დავუძახებ!

— მე ლოყის დაფხანისა გადავიხადე! — მუშტი ცხვირთან მიუტანა მესამემ.

— მე ყურის გამოჩიჩქნისა!..

ლენტორმა ჯერ მრავალგზის დაახამხამა შიშჩამდგარი მარლი თვალები, მერე გულზე შეივლო აცახცახებული ხელი და იქვე ჩაიკეცა!..

რა შეატყვეს, ფული გვეკარგებაო, ჩაჭრილი აბიტურიენტების მშობლებმა საშინელი ღრიანცელი ატეხეს. გულწასულ პროფესორზე მიიწევდნენ, ცემით უპირებდნენ გამოფხიზლებას!..

ამ დროს ფაშფაშა ქალბატონი გადმოხტა ტაქსიდან და შორიდანვე უყვირა გაკაპასებულ ქალებს:

— ამ ანგელოზივით კაცს რას ერჩით, ხალხო?! აი, ვინ არის თქვენი დამლუპველი! — ჩანთიდან ქუსას სურათი ამოუღო და თვალწინ აუფრიალა.

— ახლავე წაგვიყვანე მასთან! — უყვირეს ფაშფაშას ყველაზე ჯანიანმა ქალბატონებმა და დამუშტული ხელებით წინ წამოდგნენ.

— მე თვითონ სხვებმა გამომასწავლეს აქეთ! — მწარედ ჩაიღიმილა მოსულმა.

— იცი და გვიმალავ! — ალყა შემოარტყეს.

— თქვენ კიდევ რა გიჭირთ, — ამოიოხრა ფაშფაშამ, — მე მინისტრად შემომატყუა თავი და სამ დღეს ვყავდი ცოლად!..

ქალები ვიშვიშებდნენ. თეთრწვერა პროფესორი კი გულწასული იდო გრძელ სკამზე. თანდათან გონს მოდიოდა, ნელა უბრუნდებოდა სინამდვილეს, ატეხილი ყაყანიდან მხოლოდ ის გაარკვია, რომ ამ სიბერის ჟამს ორეულის სახით ეშმაკი აედევნა და რაღაც უბედურება იყო მისგან მოსალოდნელი. პირჯვრის გადაწერას ლამობდა, — ვერ მოეხერხებინა, თვალების გახელა ეწადა, — ვერ გაებედა!..

და იწვა ასე ქუსა ქუსლიკბენიაშვილის მიერ დაკბენილი ბ/ე იარაღად გამოყენებული და მიგდებული კაცი.

ელგუჯა მერაბიშვილი

რა მინდოდა?!

იუმორესკა

განცხადებაზე პ ა ს უ ხ ი ს მიღების იმედი რომ გადამეწურა, პირადად მივედი იმ დაწესებულებაში. ტანწერწეტა მდივანი დამხვდა. იდგა დერმატინაკრულ კარებში. შევატყვე, საიმისო ფორმაში არ ვიყავი, რომ პირისპირ აღმოვჩენილიყავი დირექტორთან და „საჯარიმო მოედნიდან“ მოსაცდელ სკამზე გადავინაცვლე.

— უკაცრავად, სად არის ჩემი განცხადება? — ვკითხე მდივანს.

მან კარგა ხანი იქექა გასავალ-შემოსავლის წიგნებში და ბოლოს დიდი ამბით მახარა ადრესატის მისამართი...

მთავარი ინჟინრის ოთახის წინ სულ სამი მთხოვნელი იდგა. მდივანი სადღაც გაუჩინარდა.

ზუსტად ორი საათის შემდეგ გამოვიდნენ ოთახიდან „ხუთწუთიანი თათბირის“ მონაწილენი. ზოგიერთი დერეფანშიც განაგრძობდა კამათს გუშინდელი ფეხბურთის მატჩის შესახებ.

მთავარმა ინჟინერმა გარკვევით ვერაფერი მითხრა და მორიგი საგზური ისევ სილამაზის სალონიდან ახალმოცქრიალებული მისი მდივნისაგან ავიღე.

განყოფილების გამგეს შესაშური მეხსიერება აღმოაჩნდა — სამი თვის წინ გადავეცი გასარკვევად დარგის ინჟინერსო!..

ინჟინერი დაკავებული აღმოჩნდა. სასწრაფო პროექტზე მუშაობს, — მითხრეს. სამხრობის შემდეგ, როგორც იქნა, შევედი მის კაბინეტში.

— ბიუროკრატიზმი! — წამოიყვირა მან.

— აბა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ყოველივე ამას?! — შევძახე გახარებულმა.

— შენ რა იცი, ამოხსნილი გაქვს?! — შემომხედა დაეჭვებით.

მაგიდაზე გადაშლილი ნახევრად შევსებული კროსვორდის დანახვაზე მთელი დღის ნაშიმშილარსა და ნერვებდაწყვეტილს უცებ თვალები ამიჭრელდა და ბედად იქ მდგარ სავარძელში ჩავესვენე. გონს რომ მოვედი, კროსვორდი ამოხსნილი ჰქონდა და წარმატებით გახარებულმა თვითონ მიმაცილა ოთახამდე იმ თავისი კოლეგისა, რომელსაც შვებულებაში წასვლის მიზეზით გადააწერა აღნიშნული განცხადება.

ახალგაზრდა კაცი ჩემმა გამოჩენამ გაახარა.

— აგაშენა ღმერთმა! ა, კალამი, დაჭექი და მეორედ დაგვიწერე შენი თხოვნა! ამის წაკითხვა უკვე შეუძლებელია! — მითხრა მან.

უამრავი რეზოლუციით გადაჭრელებული პატარა ფარატინა ქაღალდის დანახვაზე თვალები ხელ.მეორედ ამიჭრელდა და ვერაფრით ვ ღარ გავიხსენე, რა მინდოდა, რას ვითხოვდი?!.

შოთა ქელეხსაშვილი
(ქარელის რაიონი)

ბამოცანები ინდივიდუალურ მშენებლობაში

ფელეტონი

სიტყვა ინდივიდუალური, მოგეხსენებათ, უცხოურია და ჩვენს ენაზე **კერძოს, ცალკეული პირის მიერ წარმოებულს, შესრულებულს, არაკოლექტიურს** ნიშნავს. ჰოდა, როდესაც ეს სიტყვა მეორე, უკვე ქართულ სიტყვა **მშენებლობას** შეუწყვილეს, რაც თავისთავად მეტწილად ბინის ცნებასთან არის დაკავშირებული, წინადადება ამგვარად ჩამოყალიბდა: **ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. პირველითგან იყო სიტყვა!** — გვეუბნება ცხოვრების დიდი წიგნი და რამეთუ სიტყვას საქმე მოსდევს, ზემოაღნიშნული წინადადებაც გადაიქცა საქმედ. მიახლოებით ამგვარად გაჩნდა ქვეყნად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის უამრავი სამმართველო, რომელთა ერთადერთი და გადაუდებელი ამოცანა გახლდათ კერძო ბინათმშენებლობა და არა გამოცანების თხზვა. თუმცა, დროის დინების მიხედვით თუ სხვა ქვენა მიზნებით, როგორც ბევრმა ვინმემ და რამემ, ამ სახელწოდების დაწესებულებამაც განიცადა მეტამორფოზა, ანუ როგორც დღეისთვისაა მიღებული, თვითნებურად მიიკუთვნა სულ სხვა სტატუსი.

ამჯერად ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ **სამტრედიის ინდბინათმშენებლობის სამმართველოს** მუშაობის ზოგიერთ დეტალს გაგაცნობთ. შეეცდები, აგხსნა, თუ როგორ იქნა გაგებული აქ სიტყვა **ინდივიდუალური.**

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ სამტრედიის რაიონის მცხოვრები და გნებავთ სახლის აშენება ან მისი შეკეთება. რაკი რაიონში არსებობს ზუსტად ამ დანიშნულების დაწესებულება, ბუნებრივია მიაკითხავთ მას. მიაკითხავთ და არცთუ უმისამართოდ, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ამ დაწესებულების პირდაპირი და ერთადერთი დანიშნულება ის გახლავთ, რომ მოსახლეობისაგან მიიღოს მსგავსი შეკვეთები.

მკრეხელობა იქნება იმის განცხადება, თითქოს აღნიშნულ დაწესებულებაში უგულისყუროდ მოგეკიდონ! პირიქით. ზრდილობისა და სათნოების უჩვეულო მაგალითია სამმართველოს თითოეული მუშაკის მოპყრობა. მოგეცათ ლხენა, კარგია, როცა ზრდილობიან ხალხთან გიხდებათ საქმის დაჭერა, მაგრამ საბოლოო იმედგაცრუება აქარწყლებს ამ კოსტიუმირებულ კეთილშობილებას.

— **ხე-ტყე, ცემენტი, რკინის ნაწარმი, გადასახურავი ფიქალი (შიფერი) არ გაგვაჩნია!.. არც გვაქვს და არც ველით მოკლე ხანში!** — გეტყვიან აქ და ნათქვამში თანადგომაც იქნება და თანაგრძნობაც.

ასეთი პასუხი, რაღა თქმა უნდა, უკმარისობის გრძნობას გაგიჩენთ, მაგრამ შეიძლება იმის სურვილიც აღგეძრათ. ჩაიხედოთ მათ საქმიანობაში, თუ ჩაგახედეს, რასაკვირველია.

რაც შეეხება ოსტატს, მშენებელს, იგი ხომ არა და არა ჰყავთ. ამას ის გვათქმევინებს, რომ ამ დაწესებულების არსებობის მანძილზე სანთლით საძებნია მისი ოსტატების აშენებული საცხოვრებელი სახლი! აბა, გადავხედოთ დაწესებულების ხელფასის უწყისებს. იცოცხლეთ, აქ შავით თეთრზე ნახავთ ჩამწკრივებულს ხეურთებს, რკინის დამუშავების ოსტატების, მლესავებისა და სხვათა გვარებს, რომელთა გასწვრივ სოლიდური თანხებია ჩამორიგებული. ეს საქმის ერთი მხარეა და, ალბათ, სათანადო დანიშნულების ორგანოები დაინტერესდებიან ამ გარემოებით!

რაკი ჩვენ სახლის აშენებას ვეპირებთ, ეკვგარეშეა ასე უცბად არ დავყრით ფარ-ხმალს და მივყვეთ სამმართველოდან გასულ ბილიკებს. ისინი გაგვიყვანენ **ქ. სამტრედიაში, სოფლებში — ილორში, დიდ ჯიხაიშსა** და სხვა ადგილებში. გაუმეორეთ უბნის პატრონებს (დიახ, პატრონებს და არა თანამშრომლებს, გამგეებს ან სხვებს!) თქვენი თხოვნა, რომ გსურთ ინდივიდუალური, კერძო სახლის აშენება.

აქ კი სამმართველოს მესვეურთაგან დიამეტრალურად განსხვავებულ პასუხს მიიღებთ. კერძოდ:

— **გვაქვს, ბატონო, ყველაფერი გვაქვს, მაგრამ ფასები!..**

— მაინც როგორია თქვენი ფასები?

— **შიფერი — ცალი 5-6 მანეთი, საკოვე მასალა — 4-5 მანეთი, ცემენტი — 100-120 მანეთი, იატაკის მასალა 250-300 მანეთი!..**

— კი მაგრამ, ეს ხომ შავი ბაზრის...

— **როგორ გეკადრებათ?** (წინადადების დასაწყისი პათეტიკურია, დამარცხვენელიც, საქმეში თქვენი ჩაუხედაობის გამო). **ეს აშენების ფასია!**

— ამიშენებთ? — სიხარულით აღმოგხდებათ.

— **რას ბრძანებთ?!**

პასუხი იმდაგვარად გაისმის, უადგილოდ მიიჩნევთ ყოველგვარ შეპასუხებას, მაგრამ ერთი კითხვა მაინც შეიძლება გაგიჩნდეთ: **რატომ არა ჰყავთ მშენებელი ოსტატები და რატომ ყიდიან სამშენებლო მასალებს შავი ბაზრის ფასებში?! ან საიდან იწერება მშენებლების ხელფასი, როცა ისინი ფაქტობრივად არაფერს აშენებენ?! აქ მართლაც რომ დიდი შრომა დასჭირდება დაინტერესებული ორგანოების მუშაკებს იმის დასადგენად მაინც, თუ სად მუშაობენ ის მშენებლები, ინდბინათმშენებლობაში რომ ღებულობენ ხელფასს?!**

დავით ასკურავა

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აიღე ხომ საპონი?
— ავიღე, მაგრამ ბერლინის აღება არ გამჭირვებია ასე!

სამშობლოს მოყვარულნი

სამშობლოს სიყვარული ხომ სუყველას ვალია,
ოდიდან ცნობილია ის, განა ახალია!

სიყვარული მშობლიურ ნაამაგრის ზღვა არის
და სამშობლო გიყვარდეს — საკვირველი რა არის?!

დაიზარებთ, ამაგი იმ მიწას მოახმაროთ,
რომელიც გაგიხდიათ თქვენ არსობის სამყაროდ?!.

თავის ქვეყნის სიმდიდრე ზოგს იმიტომ ახარებს,
რომ იმის დოვლათებზე ის საფუძვლებს ამყარებს! —

მომხვეჭელობს, ეს საქმე თავბრუს ახვევს, თან ალხენს,
ხოცავს ნადირ-ფრინველებს, წყლებში ეძებს კალმახებს!..

ბუნების სილამაზეც გულგრილს როგორ ამყოფებს,
ბაღ-ბოსტნებსაც დაუვლის, კვირტში იღებს ნაყოფებს!..

სახალხო საქმეებსაც იგი განა გაურბის,
ყველგან წინა რიგშია, სადაც ეს მას გაუდის!

ფუძის გასამტკიცებლად წვეულებებს ატარებს,
დიდ ყანწებსაც იწაფებს, თუმც მას არვინ აძალებს!..

სამშობლოს სიყვარული სადაც მიდის, თან დააქვს
ყველგან მის დოვლათების დაუმცხრალი მადა აქვს!..

ზოგიც კიდევ სულ სხვაა, არსებაა ხაბრალო
და თუ რამე აკლია, თავისთავს დაებრალოს!

მძიმე ტვირთს ეჭიდება, იჩენს უნარს იშვიათს, —
ეს იქ პირველ რიგშია, სად სხვას საქმის შიში აქვს!

დოვლათს როცა აგროვებს, ჩქარა ხვდება, რა უყოს:
რაც მას სჭარბობს, მზადაა უქონელებს გაუყოს!

მეტი შრომა-ფუსფუსით ისე იღლებ-იწვება,
ჭამა-სმაც ავიწყდება და მშიერი მიწვება!

საკუთარი კუჭიც კი მისი უმადურია!..
რა ქნას კაცმა, თუ ხალხის სამსახური სწყურია?!

ჰოდა, ახლა, როცა ეს გმირები გავიცანით,
ვცანით მათი ღვაწლი და დასახული მიზანი,

თუ გვთხოვენ შევაფასოთ, დავეჭვდებით ჩვენ განა?! —
ვთქვათ: ორივეს უზომოდ უყვარს თავის ქვეყანა!

ეპიფანე ცინცაძე

89-679



№ 679
28 XI 1989

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 22 (1800) ნოემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 23. 10. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 11. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2347. უე 04731. ტირაჟი 130100. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 78187

მორჩილების ულლის უკანასკნელი დღე